პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 114 (2477) ◉ ხუთშაბათი, 11 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ჩვენი ოლიმპიელები

# იცნობდეთ, ალექსანდრე ტუტაკაევია!

თბილისელი მოცურავის ალექსანდრე ტუტაკაევის სახელი სპორტულმა სამყარომ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე გაიცნო. მაშინ მან 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მეექვსე ადგილის დიპლომი მიიღო.

VI ადგილი. ერთის შეხედვით, საკმაოდ მოკრძალებული მაჩვენებელია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში საბჭოთა ბრასისტების წამყვან პოზიციას, დავრწმუნდებით, რომ ტუტაკაევის წარმატება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

მოსკოვში მოპოვებულმა წარმატებამ ფრთები შეასხა ჭაბუკს, ახალი ჰორიზონტი გახსნა მის წინაშე. დაიწყო შეუპოვარი სვლა მსოფლიო კლასის შედეგებისკენ.

1964 წლის მარტი. ბაქო. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ა. ტუტაკაევმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი — 1.09,8. იგი მაშინ ჩამორჩა მხოლოდ გ. პროკოპენკოს (1.07,9), რომელმაც მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. აქვე 200 მ ცურვაში ისევ გ. პროკოპენკოსთან დამარცხდა თბილისელი ოსტატი, მაგრამ მისმა შედეგმა (2.33,4) გააუმჯობესა შეიარაღებულ ძალთა საკავშირო და საქართველოს რეკორდები.

1964 წლის აპრილი. იუგოსლავიის ქალაქი რიეკა. რვა ქვეყნის მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ტუტაკაევმა აჩვენა მსოფლიოში მანამდე ყველასთვის მიუწვდომელი დრო — 2.25,0!

მცირე ხნის შემდეგ, მაისში, საბჭოთა სპორტსმენები ბერლინს ეწვივნენ. მიმდინარეობდა სსრკ — გდრ-ის სპორტსმენთა სამატჩო შეხვედრა. ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ გ. პროკოპენკო და ა. ტუტაკაევი. გამარჯვება ამჯერადაც პროკოპენკოს ხვდა წილად. მან ამერიკელი ჩ. იასტრემსკის მსოფლიო რეკორდი (2.29,6) გაიმეორა. ტუტაკაევმა კი მხოლოდ 1,3 წამით წააგო, დაიკავა მეორე ადგილი და საგრძნობლად გადააჭარბა ოლიმპიურ ნორმატივს.

ამრიგად, ხალხთა III სპარტაკიადის შემდეგ განვლილ 9 თვეში 21 წლის მოცურავე საქართველოდან ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად იქნა აღიარებული მსოფლიოში. შესანიშნავმა შედეგებმა მას ტოკიოსკენ მიმავალი მწვანე გზა გაუხსნა.

ახალგაზრდა სპორტსმენის ასეთი წარმატება შემთხვევითი არაა. იგი ხანგრძლივი, ნაყოფიერი, დაუღალავი შრომის შედეგია. ა. ტუტაკაევმა წვრთნა 1958 წელს დაიწყო. მალე შეიძინა ჭეშმარიტი სპორტსმენის ყველა თვისება — ენერგიულობა, შრომისმოყვარეობა, არჩეული სახეობისადმი სიყვარული.

ოლიმპიელი თავის წარმატებას უმადლის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ა. სოფრონოვსა და მეგობარსა და „მეტოქეს" — თბილისელ ი. ფუნიკოვს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოცურავეს.

ი. ფუნიკოვი შარშან ტოკიოს სპორტულ კვირეულში მონაწილეობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მიერ იქ გაკვალული ბილიკი წარმატებას მოუტანს ალექსანდრე ტუტაკაევს ოლიმპიურ თამაშებზე.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: ა. ტუტაკაევი დისტანციაზე (ქვევით) და გაცურვის შემდეგ.

ფოტო ავტორისა.





## სსრ კავშირის თასზე

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

**მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და „დინამო". მიუხედავად დამატებითი დროისა, თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. დღეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. მათ შორის გამარჯვებული თასის მერვედფინალურ მატჩში ეთამაშება თბილისის „დინამოს".

**მინსკში** ადგილობრივმა „დინამომ" წააგო ცსკა-სთან — 1:2. მასპინძელთა კარში ორივე გოლის ავტორი გახდა ბ. კაზაკოვი.

**სევასტოპოლში** ფლოტის სპორტკლუბის გუნდმა დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო" — 1:0.

**კრასნოდარის** „კუბანმა" თავის მოედანზე მარცხი განიცადა მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩში — 1:4. მასპინძლებს დიდი უსიამოვნება მიაყენა სპარტაკელმა ამბარცუმიანმა: მან სამი ბურთი გაიტანა.

## სპორტული საათი

ბეკმენი (ინგლისი). აქ მიმდინარეობს ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ავსტრალიის, ინგლისის, აშშ-ის, ახალი ზელანდიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. შეჯიბრების პირველ დღეს ყველაზე საინტერესო გამოდგა იუნიორთა შორის ინგლისის ჩემპიონის სტილუელისა და ა. მეტრეველის შეხვედრა. პირველი პარტიის წაგების (4:6) შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელმა მოიგო მომდევნო ორი (6:3, 12:10) და გამარჯვებულმა დატოვა კორტი. აღსანიშნავია, რომ სტილუელი შედის დიდი ბრიტანეთის უძლიერესთა ათეულში მოზრდილთა შორის. გამარჯვება მოიპოვა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ა. დმიტრიევამ, რომელმაც დაამარცხა სტეფენსონი.

**ამსტერდამი.** 10 ივნისს შედგა საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის XVI ტური. ტალმა ბრწყინვალე სტილში მოუგო ევანსს, სმისლოვმა — ბილეკს, ბრონშტეინმა — ვრანეშიჩს, გლიგორიჩმა — პერესს, პორტიშმა — პორატს. ლენდიელ — სპასკის, რეშევსკი — შტეინისა და ივკოვ — ტრინგოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. როსეტო — პორტიშის ადრე გადადებული პარტია ყაიმით დასრულდა. 16 ტურის შემდეგ ლიდერობს სპასკი — 12,5 ქულა. ტალს, ბრონშტეინსა და სმისლოვს 12-12 ქულა აქვთ.

თეირანი. ირანის დედაქალაქის სტადიონზე გაიმართა შესარჩევი ოლიმპიური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ირანისა და ინდოეთის გუნდები. გაიმარჯვეს ირანელებმა — 3:0.

**ბერგამო** (იტალია). ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ევროპის რეკორდსმენმა ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ქალმა კრაანმა 800 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 8,7 წამში. ეს შედეგი საუკეთესოა მიმდინარე სეზონში და, ამასთან, ჰოლანდიის ახალი რეკორდიც.

## სხვადასხვა მერიდიანზე

◆ ვროცლავი. ქალაქის 25-მეტრიან აუზში კილბერტმა 400 მ კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 5.17,8, რაც პოლონეთის ახალი რეკორდია.

◆ **სოფია.** ლევსკის სახელობის სტადიონზე ახალგაზრდა სპორტსმენმა ქალმა ივანკა ხრისტოვამ ბულგარეთის რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 15,88 მ.

◆ მიულუზა (საფრანგეთი). ადგილობრივ 50-მეტრიან აუზში ეროვნული რეკორდი 100 მ ბრასის სტილით ცურვაში დაამყარა ჟ. კილმა — 1.12,0.

◆ **იუგოსლავია.** რამდენიმე ეროვნული რეკორდი დაამყარეს მძლეოსნებმა ქ. ცელეში ასპარეზობისას. რ. ლეშეკმა ჭოკით ხტომაში აჩვენა 480 სმ; ს. ვაქიჩმა 3.000 მ გაირბინა 8 წუთსა და 03,4 წამში; ბ. ვივოდი სიმაღლეზე ხტომისას 207 სმ გადაევლო თამასას, რაც ჭაბუკთა რეკორდია. დრაგა სტამეიჩიჩმა ეროვნული რეკორდი — 10,9 — გაიმეორა 80 მ თარჯრიბენში.

◆ გფრ. ქალაქ ხაგენში გამართული ასპარეზობა მძლეოსნობაში რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენის იოლანდა ბალაშის (რუმინეთი) მაჩვენებელზე — 187 სმ. ქალაქ მენდენის სტადიონზე სრულიად-გერმანიის რეკორდსმენმა ვ. რეინჰარდტმა ჭოკით ხტომისას დაძლია 485 სმ სიმაღლე. რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა 19 წლის უ. ბეიერმა. მისი შედეგი (64,48 მ) მსოფლიო მიღწევაა ჭაბუკთათვის (20 წლამდე). მ. კნიკენბერგმა 100 მეტრი გაირბინა 10,3 წამში.

◆ **სოფია.** გრძელდება იაპონელ მოჭიდავეთა ტურნე ევროპაში. სოფიაში ისინი თავისუფალ ჭიდაობაში შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს — ბულგარეთის ნაკრებს. სტუმრებს მონაწილენი არ გამოუყვანიათ ქვესაშუალო და მძიმე წონებში, მაგრამ შეხვედრა მაინც მოიგეს — 4,5:3,5.

სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ე. სასაკამ (საშუალო წონა). მან მე-7 წუთზე წმინდად დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი პ. გარჯევი. უმძიმეს წონაში ი. იმაიძუმ ქულებით მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს ს. მალოვს. ი. კანეკომ (მჩატე წონა) სძლია უ. შავოვს. მსოფლიო ჩემპიონი ო. ვატანაბე (ქვემსუბუქი წონა) ქულებით გამარჯვებას დაკმაყოფილდა ს. ჩერვენკოვთან შეხვედრაში.

ფრედ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონ ი. ხარუჩისა (მსუბუქი წონა) და ე. ვილჩევის ორთაბრძოლა. ბულგარელებიდან ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა ს. მუსტაფოვმა (ქვემძიმე წონა), რომელმაც მე-3 წუთზე ბეჭებზე დასცა მ. საიტო.

## ფეხბურთის ახალი ამბები

● როგორც ვიუწყებოდით, 10 ივნისს, ორი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად საფრანგეთს გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი (იაშინი, მაუძა, ურუშაძე; მუდრიკი, შესტერნიოვი, შუსტიკოვი, კორნეევი, გლოტოვი; ვორონინი, მიკუნოვი, ანიჩკინი; ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, გუსაროვი, მალაფეევი, კოპაევი, ჰუსაინოვი). პარიზში ჩასვლის დღესვე საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდნენ „სტად ფრანსეს". მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

მეორე მატჩს სსრ კავშირის გუნდი გამართავს 13 ივნისს „ვალანსიენთან".

ეს თამაშები უკანასკნელი რეპეტიციაა ევროპის თასზე დანიელებთან ნახევარფინალური მატჩის წინ, რომელიც ბარსელონაში შედგება 17 ივნისს. საბჭოთა ფეხბურთელები საფრანგეთიდან ესპანეთს წავლენ.

● ივნისში რამდენიმე საბჭოთა გუნდი უცხოეთში გამართავს ამხანაგურ შეხვედრებს: ლენინგრადის „ზენიტი" იტალიაში „ფიორენტინის" ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მასპინძლების გარდა შეხვდება „სან-პაულოს" (ბრაზილია), დორტმუნდის „ბორუსიას" (გფრ), ლისაბონის „ბენფიკას" (პორტუგალია) და, შესაძლოა, „ტოტენჰემს" (ინგლისი). თბილისის „დინამო", როგორც ცნობილია, მიემგზავრება პოლონეთს, ხოლო ალმა-ატის „კაირატი" — იუგოსლავიაში.

ჩვენს ქვეყანაში აპირებენ ჩამოსვლას საკლუბო გუნდები პოლონეთიდან, იტალიიდან და იუგოსლავიიდან.

● ივნისში გაიმართება თამაშები სსრ კავშირის თასზე და პირველობაზე. ჩემპიონატის მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: 15 ივნისს — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „შახტიორი" (დონეცკი), 24-ში — „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო), 25-ში — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ვოლგა" (გორკი).

● მხოლოდ ერთი ტური დარჩა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის დამთავრებამდე. მიუხედავად ამისა, პირველი ადგილი პრაქტიკულად უკვე გაინაღდა პრაღის „დუკლამ" (35 ქულა), რომელიც 2 ქულით უსწრებს თავის მუდმივ მეტოქეს — ბრატისლავის „სლოვანს".

● დამთავრდა უნგრეთის ჩემპიონატის პირველი წრე. 23 ქულით წინაა „ფერენცვაროში". მეორე ადგილზე გასულ „ჰონვედს" 19 ქულა აქვს.

## მსოფლიო ჩემპიონის ძმაც ჩემპიონია

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში — ნონა გაფრინდაშვილს.

ძვირფას სტუმარს მიესალმნენ გ. თვალჭრელიძე, ჯ. ბედუკაძე, რ. ანდღულაძე. ჩემპიონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა მ. ჭინჭარაულმა. მასპინძლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ნ. გაფრინდაშვილის საუბარი ჰასტინგსისა და სოხუმის ტურნირების შესახებ. შემდეგ ჩემპიონმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 14 დაფაზე.

შეხვედრის დასასრულს მოხდა ინსტიტუტის საჭადრაკო პირველობაში გამარჯვებულთათვის სიგელების გადაცემა. მსოფლიო ჩემპიონმა ინსტიტუტის ჩემპიონის სიგელი გადასცა თავის ძმას — ე. გაფრინდაშვილს.

რ. ანდღულაძე

# რკინიგზელები — სპორტის მაგისტრალზე

„იმერეთი". ეს სახელწოდება პირველად გაზეთში გამოჩნდა...

მეორედ იგი სამტრედიის რკინიგზის სადგურში ახსენეს და მე წამსვე საგანგებოდ გამოვიკითხე ყველაფერი.

— შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, — თქვა წითელხალათიანმა ბიჭუნამ, — ძია იოსებთან შეიარეთ. იგი „იმერეთის" თავმჯდომარეა.

„ძია იოსები" კაბინეტში იჯდა. აქვე იყვნენ მზისგან გარუჯული, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ბიჭები და გაცხარებით კამათობდნენ.

— მოითმინეთ, ცოტა კიდევ მაცალეთ! — აწყნარებდა მათ იოსები.

— რაღა მოთმინება გვინდა, გამოვიწვიოთ და ეგ არის!

— კი მაგრამ, ვინ გამოვიწვიოთ?

ვიღაცამ გაიცინა:

— ეგ სულ არაა ძნელი საქმე. ჩვენ ახლა ინგლისელების, თუნდაც იაპონელების, ფრანგების და იტალიელების გამოწვევაც შეგვიძლია.

გაურკვევლობა თავმჯდომარემ გამიფანტა. იოსებ პაპავამ ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო და ამიხსნა:

— ჩვენ, როგორც სპორტულ კლუბს, უფლება გვაქვს მსოფლიოს რომელიც გნებავთ გუნდი გამოვიწვიოთ.

ამ უფლების ისტორია კი ასე დაიწყო:

1962 წლის ზაფხული იდგა. სამტრედიის რკინიგზის კვანძში ხმა დაირხა: ჩვენები სპორტული კლუბის საპატიო წოდების მოპოვებას აპირებენო. ყველა გააოცა ამ ამბავმა. იმ ხანებში რკინიგზელებს არც სავარჯიშო მოედნები ჰქონდათ და არც ადგილი, სადაც ცოტად თუ ბევრად ნორმალური ფიზკულტურული ბაზის მოწყობას შეძლებდნენ. პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს დადგენილება კი ამ წოდების მოპოვებისთვის ისეთ მაღალ მაჩვენებლებს მოითხოვდა, რომ კეთილმოწყობილი სავარჯიშო ბაზისა და ინვენტარის გარეშე, ცხადია, წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მაინც შეიკრიბნენ კვანძის მოწინავე ადამიანები, მწვრთნელები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, რიგითი სპორტსმენები, დეპოებისა და საამქროთა უფროსები. ჩვენ არ მოვყვებით მთელი კრების შინაარსს. ვიტყვით მხოლოდ არსებითს, რაც ორატორების ლაპარაკში გამოსჭვიოდა: სადაც სიძნელე არ არის, იქ არც სიცოცხლე და ხალისია; თუ მოვინდომებთ, ყველაფერი გვექნება...

მეორე დღეს, როგორც კი სამუშაო დრო მიიწურა, ზეინკლები ტიტე ჩომახიძე, გივი კახაძე, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე რეზო ხაჟალია სავაგონო დეპოს უფროსის არჩილ რევიშვილის კაბინეტში იყვნენ. არჩილი თავადაც სპორტის დიდი მოყვარული იყო, მაგრამ როცა ბიჭებმა უთხრეს, დეპოს გვერდით რომ პატარა ტერიტორიაა, ჩვენ მოგვეცით და კალათბურთის მოედანს მოვაწყობთო, გაოცდა, ეს ადგილი დაფანგული ლიანდაგებით, შპალებითა და ათი წლის ჯართით იყო დაკავებული.

...ბიჭები ჯგუფებად დაიყვნენ. როცა ერთნი ლიანდაგის აყრასა და ნიადაგის გაწმენდაზე მუშაობდნენ, მეორენი მიწას ეზიდებოდნენ სპეციალური ვაგონით, მესამენი მიწას ტკეპნიდნენ, ბოძებსა და ფარებს ამზადებდნენ...

რამდენიმე კვირაში მოედანი მზად იყო და ბურთმაც გაინავარდა ჯართის ყოფილ სამეფლოში.

ამ დროს არც სხვა რკინიგზელები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. მწვრთნელები და საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, რომელთა რიცხვმა უკვე 150-ს მიაღწია, ახალ-ახალ სექციებს აყალიბებდნენ, ახალ-ახალ ადამიანებს იზიდავდნენ.

ახალგაზრდა სპორტსმენებთან მუშაობა სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ „მოხუცები" გაჭირვეულდნენ, სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც გამაჯანსაღებელი ჯგუფი უნდა შეევსოთ. „გამაჯანსაღებელი ჯგუფი" თავისთავად სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ 40-45 წლის ადამიანებს ვერც ისე იოლად აიძულებ, მიატოვოს ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვეულებანი და სპორტს მოკიდოს ხელი. მით უმეტეს, ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმეს.

ახალგაზრდა ექიმმა ვაჟა ტერელაძემ „ოინი" იხმარა. იგი არ ტუქსავდა ზარმაცებს, მხოლოდ ბეჯითებთან მუშაობდა. და როცა „ბეჯითებმა" ხმა დაარხიეს, ახლა არც წნევა გვაწუხებს, არც გული და უძილობაო, თანდათან 60-65 წლის „ვაჟებიც" ეწვივნენ გამაჯანსაღებელ ჯგუფს.

გაიზარდა კოლექტივი. უკვე სპორტის 17-მა სექციამ დაიწყო მოქმედება. სპორტული კლუბის დებულება მხოლოდ 12-15 სახეობას ითვალისწინებს. კვანძის 3.400 მუშა-მოსამსახურიდან 1.861 კაცი სჭედდა მომავალ გამარჯვებას. ეს ის ციფრია, რომელიც თავისთავად მეტყველებს რკინიგზელ სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა წარმატებაზე. მაგრამ მთავარი ხომ მაინც ხარისხია! და აი, ისიც: სპორტის 17 სახეობის 39-მა [illegible] მოიპოვა პირველი თანრიგი, 150-მა მეორე თანრიგის ნორმატივები დაძლია, ხოლო 575 მუშა-მოსამსახურე და აქაური სპორტსკოლის მოსწავლე ჯერჯერობით მესამეთანრიგოსანია!

მასობრიობამ მალე მოიტანა თავისი შედეგიც, ის შედეგი, რომელიც ესოდენ საპატიოდ არის მიჩნეული ყველგან.

ეს შარშან იყო. საკავშირო რადიოს სპორტულმა კომენტატორმა ნიკოლოზ ოზეროვმა მთელს ქვეყანას მოჰფინა ცნობა: ბჯენით ხტომაში მოსწავლეთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცისანა ჰკადუა გახდაო. სპორტის ყველა მოყვარული გაახარა ამ ამბავმა. მაგრამ ბევრმა, შესაძლოა, არც იცოდა, რომ ცისანა ჰკადუა სწორედ სამტრედიელ რკინიგზელთა კოლექტივმა — დღევანდელმა „იმერეთმა" შესძინა საქართველოს გუნდს.

...და იცით, ყველაზე მეტად ვის ახარებს „იმერეთის" წარმატებანი? — ლევან ვარდოსანიძეს, სამტრედიის რკინიგზის კვანძის უფროსს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეამაყება თავისი სპორტსმენების გამარჯვება. არა. სპორტმა ხალისი შეიტანა რკინიგზელთა მუშაობაში და, რაც მთავარია, აამაღლა შრომის დისციპლინა და ნაყოფიერება.

**გ. კაკაბაძე**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სამტრედია.

# შეამოწმეს, თხოვეს, ასწავლეს, მაგრამ...

ახლა აქ მხოლოდ წარსულ დიდებათა მოგონებით ინუგეშებენ თავს. ოთხიოდე წლის წინათ გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში ჩქეფდა მასობრივ-ფიზკულტურული ცხოვრება, ჰქონდათ ბაზები, წარმატებით გამოდიოდნენ რაიონულ ღონისძიებებში.

ახლა კი...

ქარხნის (დირექტორი ო. თევდორაძე) გურჯაანის, ალაზნისა და ლაგოდეხის სამი ობიექტი 200-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს. სპორტის მოყვარული კოლექტივში ბევრია, მაგრამ ფიზსაბჭოს თავმჯდომარის გ. ქაჩლიშვილის მოუქნელი მუშაობის გამო ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ორი წელია იგი ქარხანაში ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორად აირჩიეს. სიამაყით იფერებს „თანამდებობას", საქმით კი სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდო კოლექტივიცა და საკუთარი თავიც.

საბჭოს არა აქვს გეგმები, ფიზკულტურელთა სია, ჯგუფების მეცადინეობის აღრიცხვა. მოკლედ, არაფერი, რაც კოლექტივის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტად გამოდგება.

სიტყვით აქ შარშან ჩაუტარებიათ პირველობანი ჭადრაკში, შაშში, სროლაში. ნათქვამის დასადასტურებლად კი ფაქტობრივი ვერაფერი ვნახეთ. თუმცა ფიზსაბჭოს აქვს ზოგიერთი დოკუმენტიც. ამ შემთხვევაში კი, მოგვიტეონ მაგარი სიტყვა, **ყალბისმქმნელობის ფაქტსაც წავაწყდით.** ამის ნიმუშად გამოდგება 1962 წლის მუშაობის ანგარიში („ფორმა № 1 ფ. კ."). კოლექტივში არსებული ეს ერთადერთი დოკუმენტი გვამცნობს, რომ აქ ჰქონდათ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, მუშაობდნენ ფრენბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, სროლის, ჭადრაკის, შაშის ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებული იყო 127 სპორტსმენი, ეროვნულ სახეობებს მისდევდა 15 მუშა-მოსამსახურე... რაც ყველაზე უფრო კურიოზულია, ანგარიშში ნაჩვენებია თითქოს ბადმინტონში მეცადინეობს 16 კაცი. **სინამდვილეში კი სპორტის ამ ახალ სახეობაზე ქარხანაში წარმოდგენაც არა აქვთ.**

**ცხადია, კოლექტივში, სადაც ჩამკვდარია მასობრივი და სპორტული საქმიანობა, ზედმეტია ლაპარაკი ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაზე.**

საქმისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, უყაირათობამ თავისი კვალი დაამჩნია ბაზებსაც. აიხვრა ფეხბურთის მინდორი, გაპარტახდა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები...

ქარხნის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობენ ახლოს მივიდნენ ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებასთან. კრებებზე ამ მიმართებით იხილება ცალკეული საკითხებიც. მაგრამ... აი ერთი საკითხი, რომელიც გასული წლის 26 თებერვალს იქნა მოსმენილი — „**თავისუფალი (?)** სპორტული საბჭოს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ". საქმის არსზე ნათლად მეტყველებს საკითხის ფორმულირებაც. სამი თვის წინ ქარხანაში ფიზკულტურული მუშაობის სავალალო მდგომარეობაზე იმსჯელეს კომკავშირულ (მდივანი ვ. რუდი) კრებაზე. მიიღეს სათანადო დადგენილებანიც, **რომელთა შესრულების მიმდინარეობით აღარავინ დაინტერესებულა.**

დიდი ხანი არაა გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის ფიზკულტურელებზე ზრუნვა „განთიადის" თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის საბჭოს მიენდო. რამდენიმეჯერ იყვნენ აქ ზონის სპორტკავშირის თავმჯდომარე თ. გეგელიძე და „განთიადის" თავმჯდომარე ჯ. კაციტაძე. შეამოწმეს, თხოვეს, უსაყვედურეს, ასწავლეს... მდგომარეობა კი არა და არ შეცვლილა.

როდემდე გაგრძელდება უმოქმედობა? ხომ არ აჯობებდა ფიზკულტურული საბჭოს შემადგენლობა გადაეხალისებინათ საქმისმოყვარე, გამრჯე ხალხით?

**ო. გელაშვილი**
(ჩვენი სპეც. კორ.).

გურჯაანი.

* * *



**სურათზე:** ასეა „მოვლილი" გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის კალათბურთის მოედანი.



## ახალციხე

ქალაქის XIII საჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 14 მოჭადრაკემ. ტურნირმა დაძაბულად ჩაიარა, მაგრამ ჩემპიონი მაინც ვერ გამოავლინა. I-II ადგილები გაიყვეს გ. ნიკოშვილმა და ნ. ელენტმა (11 ქულა თვითეულს). ჩემპიონის გამოსავლინებლად გამარჯვებულთა შორის დანიშნულ მატჩში უძლიერესი გ. ნიკოშვილი აღმოჩნდა. მესამე ადგილი წილად ხვდა ს. ელიაშვილს.

**გ. იაძე**

●

## ცხინვალი

△ ჩატარდა სამხრეთ ოსეთის პირველობა ფრენბურთში. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს შორის გამარჯვებულნი გამოვიდნენ განათლების განყოფილების სპორტსმენები.

△ „განთიადის" საოლქო პირველობაზე ფრენბურთში გაიმარჯვეს ქვაისელ ვაჟთა და ელექტროვიბრომანქანის ქარხნის ქალთა გუნდებმა.

△ ქალაქის სტადიონზე გაიმართა გორისა და ადგილობრივი ვეტერანი ფეხბურთელების ამხანაგური მატჩი. საინტერესო თამაში დამთავრდა ცხინვალელთა გამარჯვებით — 4:3.

**ვ. მელქოევი**

# შვიდიდან — ხუთ გასვლაში

თბილისის ზღვაზე გაიმართა საკავშირო ზონალური პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

პირველად სტარტი მიეცა ოთხადგილიანი ნავებით (გასაშლელებით) შეჯიბრებას. ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა საქართველოს გუნდი (6.17,8), რომელიც გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: უ. ნათელაშვილი, გ. არქიელიძე, ვ. მრევლიშვილი, ვ. ბაშკინოვი (მესაჭე გ. ნასყიდაშვილი).

წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი ნავებით ასპარეზობაში საქართველოს ღირსებას იცავდნენ გამოცდილი სპორტსმენები, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალისტები ვ. კრივოროტოვი და ე. შევცოვი. ისინი მთელ დისტანციაზე ლიდერობდნენ რბოლას და გაიმარჯვეს კიდეც.

ორადგილიანი ნავებით (გასაშლელებით) ცუდად გამოვიდნენ საქართველოს გუნდის წევრები, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს 1963 წლის პრიზიორები გ. ჭუმბურიძე და გ. ლიქოკელი (მესაჭე გ. ნასყიდაშვილი). მათ უკანასკნელ მეტრებზე „დაუთმეს" პირველობა მოლდაველთა ნავს.

ორსაათიანი შესვენების შემდეგ შეჯიბრება განახლდა. სტარტზეა ოთხიანი გასაშლელი, მესაჭით. ფინიშის ხაზი პირველმა მასპინძელთა გუნდმა გადაკვეთა. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ მესაჭის შეცდომის გამო ეკიპაჟმა შეჯიბრების წესი დაარღვია — გზა გადაუჭრა აზერბაიჯანის გუნდს. ამიტომ ნავი შეჯიბრებიდან მოიხსნა. გამარჯვება მიეკუთვნა მოლდავეთის კოლექტივს, რამაც იგი დააწინაურა გუნდურ ჩათვლაში.

გუნდური პირველი ადგილის ბედს წყვეტდა დარჩენილი რბოლები. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა მიეღწიათ მიზნისათვის. „ერთიანებით" შეჯიბრებაში ბრძოლა გამარჯვებისთვის ძველ მეტოქეთა — ბაქოელ ვ. პლატონოვს და მცხეთელ ვ. ბაშკინოვს შორის გაიმართა. ბაშკინოვმა ბოლომდე შეინარჩუნა სტარტზე მოპოვებული უპირატესობა — 8.25,2.

შემდეგ საასპარეზოდ გამოვიდნენ ორადგილიანი გასაშლელი ნავები. პირველი იყო ჩვენი რესპუბლიკის გუნდი.

საქართველოს სპორტსმენების უპირატესობით აღინიშნა უკანასკნელი სტარტიც — შეჯიბრება რვაადგილიანი ნავებით.

უნდა ითქვას, რომ ხალხთა III სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი გუნდი ამ კლასში დაიშალა. მწვრთნელთა საბჭომ შეჯიბრებისათვის კოლექტივის დაკომპლექტება მიანდო ო. ხომერიკს, რომელმაც მოკლე ხანში წარმატებით გადაწყვიტა არცთუ ისე იოლი ამოცანა. სწორედ ამ კლასში მოპოვებულმა გამარჯვებამ საერთო გუნდური პირველი ადგილი მოუტანა საქართველოს ნიჩბოსნებს.

მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მოლდავეთი და აზერბაიჯანი.

**გ. ეელიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

* * *

**სურათზე:** ოთხადგილიანი (გასაშლელი) ნავები დისტანციაზე.

ფოტო ჯ. სიხარულიძისა.



## მოკლედ

**ქობულეთი.** ბამბის საქსოვ ფაბრიკას ფრენბურთში სამატჩო შეხვედრის ჩასატარებლად ეწვია ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი.

შეხვედრა დამთავრდა ფაბრიკის კოლექტივის გამარჯვებით — 2:1.

**ლ. ტრაპაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ესპანური კორიდა“ ახლოვდება

მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრების № 1 პრობლემა დღესდღეობით ევროპის თასია. ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება კონტინენტის იმ ოთხი გუნდისკენაა მიმართული, რომლებიც საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას შემორჩნენ. ფავორიტებად ამ ოთხეულში საბჭოთა და ესპანელ ფეხბურთელებს მიიჩნევენ, ანგარიშს უწევენ უნგრეთის ნაკრებსაც. და მხოლოდ დანიის ეროვნული გუნდი ნახევარფინალის შემთხვევით მონაწილედ ითვლება.

მაგრამ ასე პირდაპირ ვერავინ ბედავს ლაპარაკს, რადგან პროგნოზები დღეისათვის ყველაზე მერყევ „მეცნიერებად“ გადაიქცა. საგულისხმოა ერთი მაგალითი: რიო-დე-ჟანეიროს „ოთხთა ტურნირის“ წინ ფეხბურთის ყველა სპეციალისტი უპირატესობას ბრაზილიის ნაკრებს ანიჭებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მსოფლიო ჩემპიონმა დამარცხება განიცადა და პირველი ადგილი არგენტინას დაუთმო.

ძნელი, მეტად ძნელი საქმეა პროგნოზები!

სწორედ ამიტომ არის ყურადსაღები ფეხბურთის ცნობილი უნგრელი კომენტატორის დ. სეპეშის ამასწინანდელი გამოსვლა რადიოში. აი, რა თქვა მან:

— ევროპის თასის ფავორიტებად საბჭოთა კავშირი და ესპანეთი ითვლებიან, ეს სავსებით სამართლიანია, თუ ყველა ობიექტურ პირობას გავითვალისწინებთ. მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს უნგრეთის არსებობაც.

უნგრეთის ნაკრებმა წლევანდელ სეზონში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. გავიხსენოთ, თუნდაც, წინასაოლიმპიადო ტურნირი, რომელშიც ჩვენმა გუნდმა 4 თამაში მოიგო და 2 ფრედ დაამთავრა. კარგად ითამაშა უნგრეთის ნაკრებმა მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებშიც. მაგრამ დღეისათვის გუნდი ერთგვარი სიძნელეების წინაშე დგას. ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ტრავმა მიიღო ნაკრების უძლიერესმა თავდამსხმელმა შანდორმა და ექიმთა სპეციალური ჯგუფის დასკვნით, იგი ვერ შეძლებს ესპანეთში გამგზავრებას. ნაკრებში ვერ ითამაშებს ვერც რაკოში, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ გაიკეთა ბრმა ნაწლავის ოპერაცია. ეს დიდი დანაკლისია ჩვენი თავდასხმისათვის, მაგრამ კატასტროფას როდი ნიშნავს.

ჩვენს ცნობილ მწვრთნელ ბაროტისთან ერთად, ვენაში დავესწარი „ინტერნაციონალეს“ და მადრიდის „რეალის“ მატჩს, რომელშიც ესპანეთის ნაკრების რამდენიმე წევრია. შთაბეჭდილება უდავოდ დიდი მივიღეთ, მაგრამ ბაროტის მიაჩნია, რომ ესპანელებთან თამაში შეიძლება. უნგრეთის გუნდი ამჟამად საწვრთნელ ბაზაზეა, 13 ივნისს კი მადრიდს გაემგზავრება.

საბჭოთა ფეხბურთელებს ჩვენთან შედარებით იოლი მეტოქე ჰყავს — დანია. ასე ფიქრობს ყველა, მაგრამ მე მაინც მინდა გავაფრთხილო თქვენი გუნდის ხელმძღვანელობა. დანიის ნაკრებისგან ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი. 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე ჩვენ ზერელედ ვუყურებდით დანიელებთან მატჩს და მწარედაც დავისაჯეთ: „იოლმა“ მოწინააღმდეგემ დაგვამარცხა ანგარიშით 2:0 და უნგრეთის ნაკრები — ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი — გამოეთიშა ბრძოლას.

გახსოვდეთ ჩვენი მწარე გამოცდილება!

დანიის ნაკრები მთელი ძალით ემზადება. ამავე დროს, მას ჩრდილში ყოფნა ურჩევნია. იგი თვითონ უწყობს ხელს იმ აზრის გავრცელებას, თითქოს დანია საბჭოთა კავშირისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს დიპლომატიური ფანდია, რომელიც მოწინააღმდეგის ყურადღების მოდუნებაზეა გაანგარიშები. ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მთავარი სნაიპერი ნილსენი დანიის ეროვნულ ნაკრებში გამოვა. იცოდეთ, ნილსენი დიდი ძალაა!

„ესპანური კორიდა“ ახლოვდება. ფეხბურთის მოყვარულებო, მოემზადეთ!

## ფოტოობიექტივი მოგვითხრობს...



★

თბილისში, „განთიადის“ სპორტულ ბაზებზე გრძელდება ამ საზოგადოების საქალაქო პირველობა ფრენბურთში. ტურნირში მონაწილეობენ წარმოება-დაწესებულებათა უძლიერესი გუნდები.

სურათზე: სპორტკლუბ „ფეიქრისა“ და „განთიადის“ ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★



რუსთავის „მეტალურგისა“ და სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა მატჩში საუკეთესო თამაში აჩვენა „მეტალურგის“ ცენტრალურმა ფორვარდმა გ. ქოჩიაშვილმა, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

სურათზე: გ. ქოჩიაშვილი (მარჯვნივ) სოხუმელთა მცველ უ. დარახველიძესთან ბრძოლის დროს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი, II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 11 ივნისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 10 | 8 | 2 | 0 | 16—2 | 18 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 11 | 5 | 3 | 3 | 17—11 | 13 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 11 | 5 | 3 | 3 | 12—12 | 13 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 11 | 5 | 2 | 4 | 14—15 | 12 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 10 | 4 | 3 | 3 | 9—6 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 10 | 3 | 5 | 2 | 10—7 | 11 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 10 | 5 | 1 | 4 | 11—9 | 11 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 12 | 4 | 3 | 5 | 11—13 | 11 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 3 | 4 | 4 | 8—9 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 11 | 3 | 4 | 4 | 7—8 | 10 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 11 | 2 | 5 | 4 | 6—9 | 9 |
| „დინამო“ (ტალინი) | 11 | 2 | 4 | 5 | 9—11 | 8 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 10 | 3 | 2 | 5 | 9—12 | 8 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 11 | 1 | 3 | 7 | 7—22 | 5 |

### „ბ“ კლასი

გათამაშების ცხრილი

რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 11 ივნისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბათუმი) | 9 | 4 | 5 | 0 | 9—4 | 13 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 9 | 3 | 5 | 1 | 7—3 | 11 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 9 | 5 | 1 | 3 | 9—6 | 11 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 8 | 3 | 3 | 2 | 9—7 | 9 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 8 | 2 | 5 | 1 | 7—5 | 9 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—6 | 9 |
| „თერგი“ (გროზნო) | 6 | 3 | 2 | 1 | 10—5 | 8 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—6 | 8 |
| „შრ. რეზერვები“ (მინერ. წყლ.) | 9 | 1 | 6 | 2 | 7—11 | 8 |
| „კოლხიდა“ (ფოთი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9—5 | 7 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 7 | 3 | 1 | 3 | 8—11 | 7 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 8 | 3 | 0 | 5 | 10—9 | 6 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 8 | 1 | 4 | 3 | 3—5 | 6 |
| „დინამო“ (ბაქო) | 8 | 2 | 2 | 4 | 8—11 | 6 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 8 | 2 | 2 | 4 | 7—10 | 6 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 7 | 1 | 4 | 2 | 3—7 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 8 | 1 | 4 | 3 | 6—10 | 6 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 8 | 3 | 0 | 5 | 5—10 | 6 |

## „დინამოს“ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

ოდესა. ამას წინათ აქ დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ფინალური საჭადრაკო ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობდა 4 ოსტატი და 11 ოსტატობის კანდიდატი.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა რიგელმა ოსტატობის კანდიდატმა მ. პასმანმა (10 ქულა). მეორე იყო ოსტატი ა. კრუტიანსკი (ლიპეცკი) — 9 ქულა. თბილისელმა ოსტატმა ა. ბუსლაევმა 8,5 ქულით გაიყო III-IV-V ადგილები ოსტატობის კანდიდატებთან ა. კრუჩკოვთან (მოსკოვი) და ვ. ვინკელთან (სმოლენსკი). მეორე თბილისელმა მოჭადრაკემ — ოსტატობის კანდიდატმა ი. ჩიქოვანმა 7,5 ქულით VI-VII-VIII ადგილები გაიყო.

## ქუთაისელი ტურისტები ეკამათებიან... მსაჯებს

წიწამურის მიდამოებში ამას წინათ გაიმართა „განთიადის“ რესპუბლიკური პირველობა ტურიზმში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებების 17-მა კოლექტივმა.

დიდი წარმატება ხვდათ გორის ბამბეულის ქსოვილის კომბინატის მეორე გუნდის სპორტსმენებს, რომლებმაც პირველი ადგილი მოიპოვეს და გარდამავალი თასის მფლობელები გახდნენ. ამ გამარჯვების საფუძველია ტურიზმის დიდი პოპულარობა კომბინატში, სადაც 650 ადამიანი მისდევს სპორტის ამ წარმტაც სახეობას. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბათუმელი მენავთობეები, ხოლო მესამეზე — ქუთაისელი ავტოქარხნელები.

თბილისის 9 კოლექტივიდან ვერც ერთი ვერ მოხვდა საპრიზო ადგილზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „განთიადის“ თბილისის ფიზკულტურულ კოლექტივებში ტურიზმს პატივს არ სცემენ.

შეჯიბრების დროს, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა სპორტსმენისთვის შეუფერებელ გამოხდომებს. ამ მხრივ ყველას გადააჭარბეს ქუთაისელმა ტურისტებმა, რომლებიც ყოველ წვრილმან საკითხზე ედავებოდნენ მსაჯთა კოლეგიას. როდესაც მათმა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, დავა უმალვე შეწყვიტეს და... განაცხადეს: „სადავო არაფერი გვაქვს, ჩვენ ვტყუოდით“. ამგვარი საქციელი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

თ. გაჩეჩილაძე

TOKYO 1964

## ოლიმპიადის მასპინძელთა „ოქროს იმედები“

მოიპოვებენ ოლიმპიურ ოქროს მედლებს იაპონელი მძლეოსნები? შესანიშნავი შედეგები, რომლებითაც დაიწყეს სეზონი მარათონელმა კ. კიმიხარამ, სპრინტერმა ხ. იიოძიმამ, თარჯმორბენალმა ი. იოდამ და სამხტომის ოსტატმა ტ. ოკაზაკიმ იაპონური გაზეთების სპორტულ მიმომხილველებს ოპტიმიზმის საბაბს აძლევს. ჟურნალისტები სიამოვნებით იგონებენ ცნობილი დასავლეთგერმანელი მწვრთნელის ბ. ვიშმანის სიტყვებს, რომელიც მან ტოკიოში გასულ შემოდგომაზე „სპორტის საერთაშორისო კვირეულის“ დროს თქვა, — იაპონელებს დიდი შანსები აქვთ მოიპოვონ სამი ოქროს მედალი მძლეოსანთა შეჯიბრებებშიო.

აპრილში კიმიხარამ მოიგო „მაინიტის“ ტრადიციული მარათონული რბენა, რომელიც ოფიციალურ ოლიმპიურ ტრასაზე გაიმართა. მისი დრო 2 საათი, 17 წუთი და 4 წამი ტრასის რეკორდია და მსოფლიოში მიმდინარე სპორტული სეზონის მეორე შედეგი. რა თქმა უნდა, ვასედას უნივერსიტეტის მეორეკურსელი მეტოქეების მხრივ გულნაკლული არ იქნება.

ყველაზე სერიოზულ კონკურენტად მას მოევლინება გასული ოლიმპიადის ჩემპიონი — ეთიოპიის საიმპერატორო გვარდიის სერჟანტი, 32 წლის აბებე ბიკილა. სწორედ მან აჩვენა ყველაზე კარგი დრო მსოფლიოში ამ უგრძეს დისტანციაზე.

არის აგრეთვე ტოკიოს ტრასის ნაცნობები — „რკინის ახალზელანდიელი“ ბილ ბეილი და ამერიკელი ბადი ედელენი და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მოსალოდნელია სიურპრიზები საბჭოთა მორბენლების მხრიდან. მაგრამ მაინც კიმიხარას მტკიცედ სწამს, რომ ამომავალი მზის ქვეყნის დროშას აფრიალებს ტოკიოს ეროვნული სტადიონის მთავარ ანძაზე.

ქალაქ ნაგანოს კომპანია „რიკარ სიუინგ მეშინის“ მოსამსახურემ, 25 წლის ი. იოდამ გააკვირვა სპორტის საერთაშორისო კვირეულის მონაწილენიც და მაყურებლებიც — 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 10,6 წამი და უკან ჩამოიტოვა ინგლისელი მ. რენდი და გერმანელი ი. შელი. იგი ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებისაც.

24 წლის მუშა ტ. ოკაზაკი იწვის სურვილით — გაიმეოროს თავისი მწვრთნელის ჩ. ნამბუს წარმატება, რომელმაც 1932 წელს მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი სამმაგ ხტომაში. მას მერე, რაც ოკაზაკიმ აჩვენა 16,49 მეტრი, მისმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ სპორტსმენი იაპონიის რეკორდს 16,70 მეტრამდე აიყვანს, ხოლო ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებისთვის იბრძოლებს.

ოლიმპიური მედლების სხვა იაპონელ პრეტენდენტთა შორის შეიძლება დავასახელოთ უროს მტყორცნელი ტ. სუგავარუ (67,73 მ), ახალგაზრდა სპორტსმენი ნ. იამადუ, რომელმაც ახლახან იაპონიის რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში (777 სმ) და აგრეთვე სპრინტერი ხ. იიოძიმა (მან თავისი ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა 200 მეტრზე რბენაში — 21,3 წამი).

განსაკუთრებით დიდი შანსი აქვთ იაპონელ მარათონელებს: გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო მორბენალთა ათეულში 7 იაპონელი იყო!

ახლა იაპონელ მძლეოსანთა ნაწილი სამშობლოში გადის წვრთნას, ნაწილი საზღვარგარეთ აპირებს გამგზავრებას ევროპელ და ამერიკელ სპორტსმენებთან ძალების მოსასინჯად. მიემგზავრებიან მწვრთნელებიც, ხოლო მათთან ერთად მათი ერთგული თანამემწეები — კინოკამერები: ფირზე აღიბეჭდება მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნების ტექნიკის სულ მცირე დეტალებიც კი. ოქტომბრისთვის ეს კადრები იაპონელ მძლეოსანთათვის კიდევ არაერთ „ტექნიკურ სიახლედ“ შემობრუნდება.

(საკდესი).

# ლაურეატები თბილისიდან

გაზეთ „ზაპოროჟსკაია პრავდის" რედაქციის მიერ გამოცხადებულმა საერთაშორისო კონკურსმა საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში დიდი ინტერესი გამოიწვია საჭადრაკო სამყაროში. კონკურსის ჟიურიმ მაღალმხატვრული ეტიუდები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიიღო.

ჟიურიმ I—II პრიზი თანაბარი უფლებებით მიანიჭა ორ ნაწარმოებს — გამოჩენილი მოსკოველი ოსტატის ა. კაზანცევისა და ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების ვ. კალანდაძისა და ვ. ნეიძის (ორივენი—თბილისიდან) ეტიუდებს.

მოგვყავს კონკურსის თბილისელი ლაურეატების დაჯილდოებული ნაწარმოები.



თეთრები იწყებენ და იგებენ

ეტიუდში მიმზიდველი შესავალი თამაშის შემდეგ თეთრები ლაზიერის გონებამახვილური მანევრებით გამარჯვებას აღწევენ.

1. c6 კe5 2. gh f2 3. h8ლ კ:h8 4. c7 f1ლ 5. c8ლ+ მფg7 6. ლc3+ მფg6 7. ლc2+ მფg7 8. ლh7+ მფf8 9. ლh6+ (9. ლ:h8 ლg1+ მუდმივი ქიში) 9.... მფe7 10. ლe6+! მფe8 (და არა 10.... მფ:e6 11. f8ლ+ და 12. ლ:f1 გამო) 11. ლc5+ მფg7 12. f8ლ+, ლ:f8 13. ლg5×.

## პაპი — კრისტიანსენი

დღეს, 11 ივნისს კოპენჰაგენში დანიშნული იყო მატჩი ევროპის პირველობაზე კრივში ევროპის ჩემპიონს ლასლო პაპსა (უნგრეთი) და ამ წოდების პრეტენდენტს დანიელ კრისტიანსენს შორის.

როგორც ბუდაპეშტში გამოაცხადეს, ეს მატჩი პაპის ავადმყოფობის გამო თვის ბოლომდე გადაიდება.

წარმატების შემთხვევაში პაპს გადაწყვეტილი აქვს მოლაპარაკება დაიწყოს მსოფლიო ჩემპიონ ჯო ჯიარდელოსთან (აშშ).

## ტურნირი ზაგრებში

**ზაგრებში** (იუგოსლავია) მიმდინარეობს ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 5 ქვეყნის 14 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს. VII ტურის შემდეგ წინ იყო იუგოსლაველი ოსტატი მარკოვიჩი (5,5 ქულა). უნგრელ დიდოსტატ საბოს 5 ქულა ჰქონდა, იუგოსლაველებს — დიდოსტატ პარმასა და ოსტატ დამიანოვიჩს — 4,5 თვითეულს, დიდოსტატ მატანოვიჩს, ოსტატებს ფუდერერსა და ბერტოკს — 4 თვითეულს.

# ფაშისტი — ოლიმპიელის როლში

ამ დღეებში ინგლისის გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა ცნობა: „პროფესორმა ალეკს ნათანმა პროტესტის ნიშნად დააბრუნა მისთვის მიკუთვნებული ჯილდო — გფრ-ის მძლეოსანთა კავშირის საპატიო ოქროს ქინძისთავი".

ალეკს ნათანი... ეს სახელი კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. ომამდელ წლებში ნათანი გერმანიის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი იყო. მაშინ იგი „ბერლინერ სკ" კლუბის წევრად ითვლებოდა და გამოდიოდა 4×100 მეტრზე ამანათრბენში. 1926, 1927, 1929 და 1930 წლებში ბერლინელთა ოთხეულმა ალეკს ნათანთან ერთად მოიგო გერმანიის ჩემპიონობა. ამავე ოთხეულმა დაამყარა მსოფლიოს რეკორდიც.

„1933 წელს, — წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" (გდრ), — ებრაელი ალეკს ნათანი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო და ინგლისში ემიგრანტად გაქცეულიყო. იმ შავბნელი დროის გერმანიის სპორტულ სტატისტიკაში კი, როცა ლაპარაკი იყო 4×100 მეტრზე მსოფლიო რეკორდისა და ქვეყნის ჩემპიონობის შესახებ, იხსენიებდნენ მხოლოდ სამ გვარს. ფაშისტებს სურდათ ადამიანთა მეხსიერებიდან წაეშალათ ალეკს ნათანის სახელი. ომისშემდგომ წლებში პროფესორმა ალეკს ნათანმა აქტიური კამპანია წამოიწყო დასავლეთგერმანელი სპორტსმენების საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში მისაღებად. მისი ინიციატივით შედგა ომისშემდგომი პირველი გაცვლითი ვიზიტი ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის მოსწავლე სპორტსმენთა შორის".

სწორედ ამ შემთხვევის გამო მიიღო გფრ-ს მძლეოსანთა კავშირმა გადაწყვეტილება, დაეჯილდოვებინა ალეკს ნათანი საპატიო ოქროს ქინძისთავით.

„ჩვენ გვსურს გამოვასწოროთ სამარცხვინო წარსული", — განაცხადა მაშინ კავშირის წარმომადგენელმა.

მაგრამ, არა! ამის გამოსწორებაზე როდი ფიქრობდნენ დასავლეთგერმანელი სპორტული მოღვაწეები, როცა რამდენიმე დღის წინ 1964 წლის ოლიმპიური ალბომის გამომცემლად და მთავარ რედაქტორად აირჩიეს ჰერ გვიდო ფონ მენგდენი. უნდა ითქვას, რომ მენგდენმა წარსულში ნათანზე ნაკლებად როდი გაითქვა სახელი. მაგრამ იმ გაგებით, რომ, როცა ნათანი და მისი მეგობრები რეკორდებს ამყარებდნენ, გვიდო „მოიერიშეებთან" ერთად სტეხდა სკანდალურ დებოშებს მიუნჰენის ლუდხანებში. ხოლო, როცა ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცა, ობერშტურმბანფიურერი გვიდო ფონ მენგდენი გახდა ნაცისტური სპორტული კავშირის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე და „საიმპერიო სპორტული ფიურერის გენერალური რეფერენტი".

ომი დამთავრდა. ნაცისტებმა თანდათანობით შეავსეს სავარძლები ბუნდესტაგში. თანდათანობით შეავსეს ადგილები შპორტბუნდშიც. გაიხსენეს „საიმპერიო სპორტული ფიურერის გენერალური რეფერენტიც". გვიდო ფონ მენგდენი ნელნელა შეხოხდა გფრ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში; დასაწყისში — უკანა პლანზე, ნაკლებად მნიშვნელოვან ოფიციალურ პოსტებზე, ხოლო შემდეგ თანდათანობით გაძვრა წინ. 1964 წელი კულმინაციური იყო მენგდენის ომისშემდგომ კარიერაში. სწორედ ამ წელს დანიშნეს იგი ზემოაღნიშნული ალბომის გამომცემლად.

ასე აღმოჩნდა ოლიმპიელთა რიგებში ფაშისტი და... სწავლება დაუწყო ახალგაზრდობას. მაგრამ რა შეიძლება ასწავლოს დასავლეთგერმანელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ნაცისტმა ობერშტურმბანფიურერმა? რა თქმა უნდა, ის იდეები, რომლებსაც ავრცელებდა ჰიტლერის დროს: კაცთმოძულეობა, რასიზმი და რევანშიზმი!

აი, რის პროტესტის ნიშნად ჩამოიგლიჯა „საპატიო" ქინძისთავი გერმანიის ყოფილმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა ალეკს ნათანმა და აღშფოთებით მიახალა იგი დასავლეთ გერმანელ „ქველმოქმედთ".

პროფესორმა ნათანმა წერილით მიმართა შპორტბუნდის პრეზიდენტს ვილი დაუმეს. იგი წერს, რომ სპორტული მოღვაწის ოლიმპიელად ნაცისტი მონათლულა და ტალახში სვრის კეთილშობილურ ოლიმპიურ იდეალებს.

ნათანმა მოითხოვა მენგდენის ახალი დანიშვნის გაუქმება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვილი დაუმემ არ უპასუხა ამ წერილზე. ხოლო ფაშისტი ობერშტურმბანფიურერი კვლავ განაგრძობს ოლიმპიელის როლის თამაშს.

ა. ბურკოვი,

ახალი ამბების სააგენტოს სპორტული მიმომხილველი.

## ნ. ხ. უსოვი

ბევრ მსაჯს როდი შეუძლია დაიტრაბახოს იმით, რომ მის გამოჩენას ფეხბურთის მინდორზე გულშემატკივრები ყოველთვის გულთბილად ხვდებიან—ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით. ზოგიერთი მაყურებელი კარგავს ხოლმე ობიექტურობის გრძნობას, როცა საქმე მიდგება მისი გუნდის დამარცხებაზე.

ბევრ მსაჯს როდი შეუძლია დაიტრაბახოს, რომ მისი სახელის გაგონებაზე სპორტის მოყვარულებს სახეზე სიამოვნების ღიმილი გადაუვლის.

აი, ასეთი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ხ. უსოვი, შესანიშნავი ლენინგრადელი არბიტრი, რომლის კოლორიტული ფიგურა, მსაჯობის თავისებური მანერა და თამაშის ყველა ნიუანსის ბრწყინვალე გაგება ახსოვს ყველას, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია მის მიერ ჩატარებულ მატჩს.

ნ. ხ. უსოვი გარდაიცვალა 5 ივნისს, 61 წლის ასაკში. ჩვენ, თბილისის „დინამოსა" და „სპარტაკის" ვეტერანებს, თბილისის მაყურებლებს მუდამ გვეხსომება კეთილი მეგობარი და შესანიშნავი მსაჯი, მუდამ პრინციპული, გულისხმიერი ადამიანი — ნიკოლოზ ხარიტონის ძე უსოვი.

თბილისის „დინამოსა" და „სპარტაკის" ვეტერანი ფეხბურთელები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

# 52-დან 47 ქულა

... ასეთი შესანიშნავი შედეგით დაამთავრეს გათამაშება 1949 წლის საკავშირო პირველობაზე II ჯგუფის ცენტრალურ ზონაში თბილისის „სპარტაკის" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა. მთელი შეჯიბრება მათ ჩაატარეს ისე, რომ ლიდერობა არავისთვის დაუთმიათ. დამახასიათებელია ისიც, რომ ზედიზედ ჩატარებულ 20 მატჩში გუნდმა მოაგროვა შესაძლებელ ქულათა მაქსიმუმი — 40! იშვიათად, რომ ოფიციალურ შეჯიბრებებში რომელიმე გუნდს ჰქონდეს ასეთი განსაცვიფრებელი შედეგი. 26 მატჩიდან „სპარტაკმა" წააგო მხოლოდ ერთი, 3 დაამთავრა ფრედ და 22 მოიგო (ბურთების შეფარდებით 60:18). აი, ასეთი მაჩვენებლებით დაიკავა თბილისის „სპარტაკმა" ცენტრალურ ზონაში პირველი ადგილი და მცირე ხნის შესვენების შემდეგ გაემგზავრა დონის-როსტოვში ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ ტურნირში მონაწილეობისთვის. ჩვენს გარდა ფინალში გამოდიოდნენ ადგილობრივი „დინამო", ოდესის „პიშჩევიკი", ქ. კალინინგრადი (მოსკოვის ოლქი), ლენინგრადის გუნდი, სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის კოლექტივი და ლვოვის „სპარტაკი".

ზონებში ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით კარგად ვიცოდით, რომ მეტოქეებად გვყავდა ძალიან ძლიერი გუნდები, რომლებსაც იგივე ამოცანა ჰქონდათ დასახული, რაც ჩვენ: პირველ ჯგუფში გადასვლა, ამიტომ ბრძოლა გველოდა ცხარე და დაძაბული.

პირველი 3 შეხვედრა საუკეთესოდ ჩავატარეთ, — 2 მოვიგეთ, ხოლო ერთი ფრედ დავამთავრეთ ისე, რომ საკუთარ კარში ბურთი არ მიგვიღია — 5:0. მეოთხე მატჩი ჩვენთვის წარუმატებელი გამოდგა: წავაგეთ კალინინგრადის ფეხბურთელებთან — 0:1. ეს ბურთი ჩვენს კარში გატანილ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდთან მოგების შემდეგ (ეს იყო მეხუთე მატჩი) პირველი ადგილი თითქოს გარანტირებული გვქონდა, ვინაიდან სათამაშო დაგვრჩა აუტსაიდერთან — როსტოვის „დინამოსთან". მაგრამ ბოლო ადგილზე მყოფ გუნდთან ვერ შევძელით სრული ძალით თამაში, დავმარცხდით და საბოლოოდ ქულათა თანაბარი რაოდენობით (7-7) პირველ ადგილზე აღმოჩნდა 3 გუნდი: ჩვენ, ქ. კალინინგრადი და „პიშჩევიკი" (ოდესა). გამარჯვებულის გამოსავლენად ამ გუნდებს შორის დაინიშნა დამატებითი მატჩები.

ახლა, როცა ეს „ფინალის ფინალი" წარსულს ეკუთვნის, ძნელი გასახსენებელია ბრძოლის ყველა დეტალი. ეს ძნელი გამოცდა თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩააბარეს, დაამარცხეს „პიშჩევიკიც" (2:1) და კალინინგრადის გუნდიც (1:0) და მოიპოვეს უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.

ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ ჩვენი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჟორდანიას ხელმძღვანელობით სპარტაკელებს არც „ა" კლასში უთამაშიათ ურიგოდ.

ამ დიდ გამარჯვებას ჩვენმა გუნდმა მიაღწია მეგობრული დამოკიდებულებით, მონდომებით, დაუღალავი ვარჯიშით, კოლექტიურობით. დღესაც, მრავალი წლის შემდეგ, თბილისის „სპარტაკის" წევრებს ერთმანეთთან გვაკავშირებს ხალასი მეგობრული გრძნობა, რაც ესოდენ საჭიროა სპორტში.

ა. პაიჭაძე,

სპორტის ოსტატი.

* * *

**სურათზე:** თბილისის სპარტაკელები დონის-როსტოვის სტადიონზე. აი, ვინ იცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას (მარცხნიდან მარჯვნივ): პირაევი, ა. პაიჭაძე, იოსელიანი, იუნანოვი, ი. ბურჭულაძე, ეპიტაშვილი, ლომაია, კილაძე, ოსაძე, ა. ბურჭულაძე, კ. გაგნიძე, ქვარიანი, კატანოვი და გამყრელიძე.

## 12 ივნისს

ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სააქტო დარბაზში საქართველოს მთასვლელთა ფედერაცია აწყობს შოთა და დევი მიქელაძეების ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს.

დასაწყისი 8 საათზე.

## 13 ივნისს

საღამოს 8 საათზე, „დინამოს" სტადიონის ოსტატთა კლუბში გაიმართება კონფერენცია თბილისში მძლეოსნურ შეჯიბრებათა ორგანიზებულად ჩატარების საკითხებზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

